ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 18

ქ. მცხეთა 2022 წელი

ერთი მხრივ - შპს ,,მცხეთის სოფწყალი" (მისამართი: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის #73) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი ჩხაიძეს სახით(,,**შემსყიდველი**"), და მეორე მხრივ - შპს ,,ბრაით ინდუსტრი" (მისამართი: თბილისი, გვეტაძის 6) წარმოდგენილი მისი დირექტორის კ. გევორქიანის სახით (,,**მიმწოდებელი**"), ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს:

CPVკოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
31221000	ფაზური დაცვის რელე PVR-3-380V	7 ცალი	95	665
31221600	დროის რელე DH48S-S 220VAC	4 ცალი	65	260
31230000	რელეს ბუდე PF-083A	4ცალი	5.50	22
31230000	ელექტრო მრიცხველი DH48J 220V	4ცალი	65	260
31213000	ელექტრო გამშვები MC-22b AC220V 50Hz 1a1b	7 ცალი	75	525
31230000	კოჭა AC380V 50HZ MC-32a-40a	2 ცალი	25	50
31221000	თბური დაცვის რელე MT-32 15A 3H	2	50	100
31221000	თბური დაცვის რელე MT-32 8.5A 3H	4	50	200
31212000	ავტომატური გამომრთველი BKN 3P C16A	7	30	210
31212000	ავტომატური გამომრთველი BKN 3P C32A	7	30	210
31212000	ავტომატური გამომრთველი BKN 3P C25A	7	35	245
31212000	ავტომატური გამომრთველი BKN 3P C50A	10	32	320
31213000	ელექტრო გამშვები MC32a AC240V 50Hz 1a1b	3	95	285
31221000	თბური დაცვის რელე MT-32 5A 3H	1	50	50
31213000	ელექტრო გამშვები MC-12b AC220V 50Hz 1a1b	4	45	180
31213000	ელექტრო გამშვები MC85a AC240V 50Hz 1a1b	1	295	295
31212000	ავტომატური გამომრთველი ABS103c 75A EXP	1	235	235
31212000	ავტომატური გამომრთველი ABS103c 125A	1	280	280
31221000	დონის რელე FR-1-220V	8	75	600

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება - გამარტივებული შესყიდვა (მონეტარული ზღვრების დაცვით).

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 4992 (ოთხი ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე უფლებამოსილია შემსყიდველი მხარე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერასუზრუნველყოფს შემსყიდველის მხრიდან -შპს ,,მცხეთის სოფწყალი"-ს მთავარი ინჟინერი თ. ოსიშვილი.

4. საქონლის მოწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 30 დეკემბრამდე ეტაპობრივად.

4.2. მისამართი: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის #73.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, ეტაპობრივად, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 1 თებერვლამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება გაფორმებულია ელექტრონულად, ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს ,,მცხეთის სოფწყალი"	შპს ,,ბრაით ინდუსტრი"
მის: მცხეთა,აღმაშენებლისN73	მის: თბილისი, გვეტაძის 6
სს „ლიბერთი ბანკი"	სს ,,თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE78LB0113162465564000	ა/ა GE04 TB75 8963 6020 1000 01
ს/კ: 436034104	ს.კ 401952348
დირექტორი	დირექტორი
ი. ჩხაიძე	ვ. გეგეჭკორიანი
---	---

LLC Village water of Mtskheta

Digitally signed by LLC Village water of Mtskheta
Date: 2022.03.10 17:50:54 +04'00'

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. მცხეთა 2022წ.

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ დაკავშირებული საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები შპს ,,ბრაით ინდუსტრი"-სთან.

შპს ,,მცხეთის სოფწყალი"-ს დირექტორი ი. ჩხაიძე

შპს „მცხეთის სოფწყალი"-ს მთავარი ინჟინერი თ. ოსიშვილი